



**გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრი**

30 მარტი 2026



N 2-116

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2026 წლის 16 იანვრის №2-8 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2026 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2026 წლის 16 იანვრის №2-8 ბრძანებაში შეტანილ იქნას ცვლილება და ბრძანების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2026 წლის პროგრამის (დანართი №1)“ მე-5 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2026 წელს ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სავარაუდოდ 8 712 სხვადასხვა კატეგორიის/დასახელების სურსათის ნიმუში/სინჯი (დანართი №1.3);“;

ბ) „მონიტორინგი“ დანართი №1.2-ის:

ბ.ა) III თავის - „სურსათის მიკრობიოლოგიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრა“ ეტაპი 5-ის ცხრილი №4-ის შემდეგ „2026 წელს ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა“-ში დაემატოს მე-7 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ნედლი რძის კვლევა Q (ქუ) ცხელებაზე: 235 ნიმუში.

„საქართველოში Q ცხელების დაავადების გავრცელების რისკის შეფასების ანგარიში“-ს რეკომენდაციების საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ სააგენტოში აღრიცხულია 235 ნედლი რძის მიმღები და გადამამუშავებელი ბიზნესოპერატორი, მიზანშეწონილია, ყველა ბიზნესოპერატორიდან აღებული იქნას მინიმუმ 1 (ერთი) ნედლი რძის ნიმუში Q (ქუ) ცხელებაზე გამოკვლევის მიზნით. ამდენად, 2026 წელს Q (ქუ) ცხელებაზე გამოკვლევის მიზნით აღებული იქნება ნედლი რძის 235 ნიმუში.“;

ბ.ბ) IV თავის -„სურსათის ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების ლაბორატორიული კვლევისთვის ასაღები ნიმუშების რაოდენობის განსაზღვრა“ ეტაპი 1-ის 1.11. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.11 ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური, მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა.“;

ბ.გ) ცხრილი №8-ის:

ბ.გ.ა) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

4	სურსათში პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების კვლევა	0.7	344.87	170
---	---	-----	--------	-----

„

ბ.გ.ბ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„

11	ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური, მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა	0.7		150
----	--	-----	--	-----

„

ბ.დ) ცხრილი №8-ის შემდეგ „2026 წელს ასაღები სურსათის ნიმუშების რაოდენობა“-ში:

ბ.დ.ა) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური, მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა - 150 ნიმუში.

ქვეპროგრამით აღებული და გამოკვლეული იქნება: „ბიო“, „ეკო“, „ორგანული“ – ბიოწარმოებიდან მიღებული ან ბიოწარმოებასთან დაკავშირებული ალკოჰოლიანი სასმელების ნიმუშებიც.“;

ბ.დ.ბ) დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-13 და მე-14 პუნქტები:

„13. „ზეთებსა და ცხიმებში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) კვლევა - 71 ნიმუში.

საფუძველი: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის „პურისა და ზეთის უვნებლობის კონტროლი საქართველოში“ მონიტორინგის ანგარიშის განხილვით მიღებული გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ახალი ქვეპროგრამა „ზეთებსა და ცხიმებში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) კვლევა“-ს დამატება - „სურსათში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) მაქსიმალურად დასაშვები ზღვრის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 9 ნოემბრის №567 დადგენილებით განსაზღვრულ შემდეგ მაჩვენებლებზე გამოკვლევის მიზნით: 3-მონოქლოროპროპანდიოლის (3-MCPD) და 3-MCPD ცხიმოვანი მჟავების ეთერების ჯამი, გამოხატული, როგორც 3-MCPD; გლიციდილის ცხიმოვანი მჟავას რთული ეთერები, გამოსახული, როგორც გლიციდოლი; დიოქსინები და პოლიქლორბიფენილები; ტყვია; პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადები; ერუკის მჟავა, მათ შორის, ცხიმთან დაკავშირებული ერუკის მჟავა-მცენარეული.

14. ხორცის პროდუქტებში ნიტრიტების განსაზღვრა - 100 ნიმუში.

„ნიტრატებით დაბინძურებული ბოსტნეულის მოხმარებით განპირობებული რისკის შეფასება საქართველოს მოსახლეობის მიმართ“ სამეცნიერო დასკვნის საფუძველზე შემუშავებული რისკის მინიმიზირების რეკომენდაციების გათვალისწინებით, 2026 წელს ნიტრიტების განსაზღვრის მიზნით აღებული იქნება ხორცის პროდუქტების 100 ნიმუში.“;

ბ.ე) VII თავის - „ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლის და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა“ 1.1.2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.1.2 2026 წელს მსხვილფეხა საქონლიდან ასაღები ნიმუშების რაოდენობამ შეადგინა 683 ერთეული, აქედან უნდა განხორციელდეს:

- „ა“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 431 ნიმუში, მ.შ. 220 ნიმუში - ცოცხალი ცხოველებიდან და 211 ნიმუში - სურსათი (ხორცი).

- „ბ“ ჯგუფის ნივთიერებების კონტროლი - 252 სურსათის ნიმუში, მ.შ. "ბ" (1) ჯგუფზე - 76 ნიმუში, "ბ" (2) ჯგუფზე - 76 ნიმუში, "ბ" (3) ჯგუფზე - 25 ნიმუში და დანარჩენი 75 ნიმუში უნდა გაკონტროლდეს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესაბამისად.“;

ბ.ვ) X თავის - „გაუთვალისწინებელი ლაბორატორიული კვლევები“ მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მონიტორინგის ფარგლებში, სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ 2026 წელს აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეული იქნება სხვადასხვა დასახელების სურსათის სავარაუდოდ 8 712 ნიმუში/სინჯი (დანართი №1.3)“;

გ) დანართი №1.3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:


ქვეპროგრამა „სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლი“ 2026 წელი

№	ლაბორატორიული კვლევის დასახელება	ნიმუშების/სინჯების სავარაუდო რაოდენობა
1	სურსათში სალმონელას კვლევა	2165
2	სურსათში <i>Listeria monocytogenes</i> -ის კვლევა	220
3	სტაფილოკოკური ენტეროტოქსინი	50
4	ჰისტამინი	270
5	ნედლი რძის კვლევა ბრუცელოზზე	235
6	ყველში კოაგულაზა-დადებითი სტაფილოკოკის (<i>S. aureus</i>) კვლევა	50
7	სურსათში სანიტარიული მაჩვენებლების, პირობით პათოგენებისა და პათოგენების კვლევა	155
8	არაცხოველური წარმოშობის სურსათში ბიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა	600
9	არაცხოველური წარმოშობის სურსათში მიკოტოქსინების განსაზღვრა	148
10	რძეში აფლატოქსინ M1-ის განსაზღვრა	179
11	სურსათში პოლიციკლური არომატული ნახშირწყალბადების კვლევა	170
12	სურსათში პესტიციდების ნარჩენების განსაზღვრა	380
13	სურსათში საღებავების შემცველობის განსაზღვრა	94
14	სურსათში ტოლუიდილის წითელის შემცველობის განსაზღვრა	83
15	თევზში ტრიფენილმეთანის და საღებავების ნარჩენებისა და მათი მეტაბოლიტების (მალაქიტის მწვანე, ლეუკომალაქიტის მწვანე, კრისტალური იისფერი, ლეუკო კრისტალური იისფერი და ბრილიანტის მწვანე) შემცველობის განსაზღვრა	215
16	ცხოველური წარმოშობის სურსათსა და ჩვილ ბავშვთა და ადრეული ასაკის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი სურსათში ტყვიის შემცველობის განსაზღვრა	70
17	სურსათში ტრანსცხიმების შემცველობის განსაზღვრა	89
18	ალკოჰოლიან სასმელებში ფიზიკური, მიკრობიოლოგიური და ქიმიური მაჩვენებლების განსაზღვრა	150
19	სურსათში ეთილენის ოქსიდის განსაზღვრა	91
20	სასმელი წყლის (მათ შორის დაფასოებული) კვლევა	750

21	ცხოველური წარმოშობის სურსათში (თაფლისა და თევზის გარდა) ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	1367
22	თაფლში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	100
23	თევზში ვეტერინარული პრეპარატებისა და სხვა დამაბინძურებლების ნარჩენი ნივთიერებების კვლევა	30
24	სურსათში გმო-ს შემცველობის განსაზღვრა	30
25	ხორცისა და ხორცის პროდუქტების სახეობრივი კვლევა	200
26	გაცივებული ფრინველის ხორცში წყლის შემცველობის განსაზღვრა	75
27	რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის სისუფთავის განსაზღვრა	300
28	რძესა და რძის ნაწარმში ტენიანობის განსაზღვრა (კარაქი)	10
29	რძესა და რძის ნაწარმში ცხიმის განსაზღვრა (კარაქი)	10
30	თაფლში ხარისხობრივი მაჩვენებლების კვლევა	20
31	ზეთებსა და ცხიმებში ზოგიერთი დამაბინძურებლის (კონტამინანტის) კვლევა	71
32	ნედლი რძის კვლევა Q (ქუ) ცხელებაზე	235
33	ხორცის პროდუქტებში ნიტრიტების განსაზღვრა	100
	სულ:	8 712

»»

დავით სონულაშვილი



მინისტრი

<https://edocument.ge/mea/public/#/116-2-4-202603301043>

